

მოთხოვნამდე ანაზრის ხელშეკრულება N GE83BG0000000612683132
(ანაზრის ტიპი - მოთხოვნამდე)

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ბანკი:

- 1.1.1. სახელწოდება (საფირმო): ს.ს. საქართველოს ბანკი;
- 1.1.1.1. საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869;
- 1.1.1.2. საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი: თბილისი, გუდიაშვილის 2.
- 1.1.1.3. წარმომადგენელი (ხელმოწერი პირი):
- 1.1.1.3.1. სახელი და გვარი: გიორგი ხომასურიძე
- 1.1.1.3.2. თანამდებობა/სტატუსი: SME რეგიონალური მენეჯერი

1.2. მეანაზრე:

- 1.2.1. სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი: შპს თბილისი გრუპი 2019;
- 1.2.1.1. საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი: 425056761.
- 1.2.1.2. წარმომადგენელი (ხელმოწერი პირი):
- 1.2.1.2.1. სახელი და გვარი: დუმბაძე ვალერიან;
- 1.2.1.2.2. პირადი ნომერი: 09001024504;
- 1.2.1.2.3. თანამდებობა/სტატუსი: დირექტორი/ბენეფიციარი/პარტნიორი-დამფუძნებელი;

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. ხელშეკრულებით დადგენილი (მათ შორის, მოთხოვნამდე ანაზრის ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებული) წესისა და პირობების შესაბამისად ბანკი აცხადებს მზადყოფნას მეანაზრეს გაუწიოს მოთხოვნამდე ანაზრით მომსახურება.

3. მოთხოვნამდე ანაზრის პირობები

- მოთხოვნამდე ანაზრის ტიპი: მოთხოვნამდე;
- მოთხოვნამდე ანაზრის ამოქმედების თარიღი: 17 ივნისი 2026 წელი;
- მოთხოვნამდე ანაზრის ვადა: უვადო;
- საანაზრე ანგარიშის ნომერი: GE83BG0000000612683132;
- მომსახურე ანგარიშის ნომერი, მოთხოვნამდე ანაზრის გასაცემად: GE66BG0000000101371121;
- მომსახურე ანგარიშის ნომერი, საპროცენტო სარგებლის გასაცემად: GE66BG0000000101371121;
- პირველადი შენატანის მოცულობა და ვალუტა: 0 (ნული ლარი 00 თეთრი) ქართული ლარი;
- მოთხოვნამდე ანაზრის მინიმალური მოცულობა და ვალუტა: არ მოითხოვება;
- მოთხოვნამდე ანაზრის მაქსიმალური მოცულობა: მოთხოვნამდე ანაზრის ვადის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, ბანკში დადგენილი წესით შესაძლებელია მოთხოვნამდე ანაზრის მოცულობის გაზრდა;
- მოთხოვნამდე ანაზრის გატანის წესი: მოთხოვნამდე ანაზრის ვადის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, ბანკში დადგენილი წესით შესაძლებელია მოთხოვნამდე ანაზრის გატანა;
- საპროცენტო სარგებლის მოცულობა: წლიური (იარუსული), შემდეგი პირობებით: 0 (ნული ლარი) -დან - 1,000,000 (ერთი მილიონი ლარი) ჩათვლით მოცულობის თანხას,

17.12.2026-მდე ერიცხება 9.1 (ცხრა მთელი ერთი მეათედი)%, მხოლოდ ზემოაღნიშნული შუალედის ფარგლებში არსებული თანხის მოცულობაზე დაანგარიშებით, ხოლო 17.12.2026-დან - 0%; 1,000,000 (ერთი მილიონი ლარი) -ზე მეტი მოცულობის თანხას, ერიცხება 0 ნული % მხოლოდ ზემოაღნიშნული შუალედის ფარგლებში არსებული თანხის მოცულობაზე დაანგარიშებით; ანაზრის თანხის თითოეული ნაწილისთვის დასარიცხი ანაზრის წლიური საპროცენტო განაკვეთი იქნება განსხვავებული და განისაზღვრება შესაბამისი ზღვრული ოდენობებისთვის დადგენილი ანაზრის წლიური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ანაზრის თანხის იმ ნაწილს, რომელიც ექცევა შესაბამისი ზღვრული ოდენობით განსაზღვრულ ფარგლებში, დაერიცხება ამ ფარგლებში მოქცეული ანაზრის ნაწილისთვის განსაზღვრული ანაზრის წლიური საპროცენტო განაკვეთი, განურჩევლად ანაზრის თანხის ჯამური ოდენობისა .

ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების (დანართი N1-ის) მე-9 მუხლის შესაბამისად/საფუძველზე, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს საპროცენტო სარგებლის მოცულობა, რასთან დაკავშირებითაც ბანკი შეანაზრებს გაუგზავნის შეტყობინებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, საპროცენტო სარგებლის ცვლილებასთან დაკავშირებით შეტყობინება შეიძლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი კომუნიკაციის საშუალებით გაიგზავნოს. ამასთან, ბანკის მიერ შეანაზრებისთვის შეტყობინება გაიგზავნება ცვლილებამდე 2 (ორი) თვით ადრე, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და შეტყობინების გაგზავნიდან 2 (ორი) თვის შემდეგ შეიცვლება საპროცენტო სარგებლის მოცულობა და საპროცენტო სარგებლის დარიცხვა განხორციელდება შეცვლილი საპროცენტო სარგებლის გათვალისწინებით.

თანხა რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი:

საპროცენტო სარგებელი ერიცხება მოთხოვნამდე ანაზრის მოცულობის თანხას, მასზე გაცემული საპროცენტო სარგებლის ჩათვლით;

საპროცენტო სარგებლის დარიცხვის წესი:

საპროცენტო სარგებლის დარიცხვა იწყება საანაზრე ანგარიშზე თანხის განთავსების მეორე საბანკო დღიდან ყოველდღიურ საფუძველზე;

საპროცენტო სარგებლის გაცემის წესი:

დარიცხული საპროცენტო სარგებელი გაიცემა ანაზრის ამოქმედებიდან ყოველთვიურად, თვის ბოლო სამუშაო დღეს; მოთხოვნამდე ანაზრის ვადის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, ბანკში დადგენილი წესით შესაძლებელია გაცემული საპროცენტო სარგებლის გატანა;

საპროცენტო სარგებლის გატანის წესი:

4. ხელშეკრულების სტანდარტული და დამატებითი პირობები

4.1. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები დადგენილია დანართი N1-ით, რომელიც განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: www.bankofgeorgia.ge და წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ (განუყოფელ) ნაწილს და განიხილება მასთან ერთად. ხელშეკრულების დამატებითი პირობები (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ასახულია დანართი N2-ში, რომელიც ასევე წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ (განუყოფელ) ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

4.2. ხელშეკრულების ხელმოწერით შეანაზრე ადასტურებს, რომ:

4.2.1. იგი გაეცნო დანართი N1-ით დადგენილ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსს და მიიღო ეს პირობები;

4.2.2. დანართი N1-ით დადგენილი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსი არ არის ბუნდოვანი ან/და იმდენად უჩვეულო, რომ არ შეეძლოს მათი გათვალისწინება;

4.2.3. დანართი N1-ით დადგენილი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსი არ ეწინააღმდეგება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს და შესაბამისად არ არის საზიანო მისთვის.

- 4.3. მხარეები თანხმდებიან და აცნობიერებენ, რომ:
- 4.3.1. წინამდებარე მოთხოვნამდე ანაზრის ხელშეკრულება და მისი სტანდარტული პირობები (დანართი N1), ხოლო მათი არსებობის შემთხვევაში, ასევე დამატებითი პირობები (დანართი N2) წარმოადგენენ ერთ მთლიან შეთანხმებას მხარეთა შორის;
- 4.3.2. წინამდებარე მოთხოვნამდე ანაზრის ხელშეკრულებას, მის სტანდარტულ პირობებსა (დანართი N1) ან/და დამატებით პირობებს (დანართი N2) შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას უპირატესობა ენიჭება:
- 4.3.2.1. პირველ რიგში, დამატებით პირობებს (დანართი N2) (ამგვარის არსებობის შემთხვევაში);
- 4.3.2.2. შემდეგ წინამდებარე მოთხოვნამდე ანაზრის ხელშეკრულებას (დანართი N1-ისა და N2-ის გარეშე);
- 4.3.2.3. და ბოლოს, სტანდარტულ პირობებს (დანართი N1).
5. პრეტენზიები და დავები
- 5.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე პრეტენზიები მხარეებმა შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად ხელშეკრულების სტანდარტული პირობების (დანართი N1) შესაბამისად.
- 5.2. ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, ხელშეკრულების არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.
6. თანხმობა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ
- 6.1. მეანაზრე/მეანაზრის წარმომადგენელი აცხადებს თანხმობას ბანკის მიერ მისი მონაცემების მარკეტინგის მიზნით დამუშავებაზე (მათ შორის, უფლებამოსილი პირის მეშვეობით), რაც გულისხმობს ბანკის მიერ მეანაზრისთვის პროდუქტების, მომსახურების ან/და სხვა მარკეტინგული ხასიათის შეთავაზებების მიწოდებას ბანკში დაფიქსირებულ ან/და ბანკის მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ საკომუნიკაციო არხში.
- 6.2. ბანკი უფლებამოსილია პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის დაამუშაოს მეანაზრის შესახებ: მაიდენტიფიცირებელი (სახელი, გვარი, ასაკი, სქესი) და საკონტაქტო მონაცემები, ფინანსური მონაცემები, ლოკაციასა და ინტერესებთან დაკავშირებული მონაცემები, შემოსავლებთან და ხარჯვით ქცევასთან დაკავშირებული მონაცემები, ტექნოლოგიური მოწყობილობის შესახებ მონაცემები (მზა ჩანაწერები, აპლიკაციის ლოგები), მეანაზრის ქცევის, პრეფერენციების შესახებ მონაცემები, საბანკო პროდუქტების სარგებლობასთან დაკავშირებული მონაცემები (სესხები, ანაზრები, გზავნილები და ა.შ), ასევე მეანაზრის შესახებ სხვა ნებისმიერი მონაცემი, რომელიც ბანკმა: პირდაპირ მიიღო მეანაზრისგან, მოიპოვა საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, მოიპოვა მესამე პირებისგან (მაგ. შემოსავლების სამსახური, საკრედიტო საინფორმაციო ბიურო და ა.შ) მეანაზრისთვის მომსახურების გაწევის პროცესში, შექმნა მეანაზრის შესახებ მონაცემების ანალიზის შედეგად.
- 6.3. ეს თანხმობა სრულად ნებაყოფლობითია და არ წარმოადგენს წინაპირობას ბანკთან ხელშეკრულების დადების ან მისი შესრულების, ასევე ბანკის პროდუქტებითა და მომსახურებით სარგებლობისთვის. მეანაზრეს შეუძლია არ გასცეს აღნიშნული თანხმობა, რის შესახებაც უნდა დააფიქსიროს სერვის ცენტრის შემთხვევაში - ოპერატორთან, ხოლო ციფრული არხის შემთხვევაში - ნებისმიერ საკომუნიკაციო არხში. ამავდროულად, მეანაზრეს აქვს შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს მოითხოვოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტა იმავე ფორმით, რომლითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი. ასეთ შემთხვევაში, ბანკი მოთხოვნის შინაარსის შესაბამისად შეწყვეტს პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მეანაზრის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში და მეანაზრე აღარ მიიღებს მასზე მორგებულ შეთავაზებებს შესაბამის არხ(ებ)ში.
- 6.4. ამ თანხმობის გაცემით, მეანაზრე ადასტურებს, რომ გაეცნო ბანკის მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე (<https://bankofgeorgia.ge/ka/privacy-notice>) და ეთანხმება ბანკის მიერ მისი პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებას. თანხმობა ვალიდურია მეანაზრის მიერ თანხმობის გამოხმობამდე. ამასთან, თანხმობის გამოხმობა არ იწვევს თანხმობის გამოხმობამდე და თანხმობის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.
7. მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

მეანაზრე

